

საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის მედიცინის დეპარტამენტი

თბილისი

ტელ.: 599 55 43 51

“ბაკურიანი – 2014”

საინფორმაციო წერილის დანართი #1

კომპანიის, ფირმის, ორგანიზაციის, დაწესებულების,
ფონდის, ასოციაციის, საზოგადოების
პრეზიდენტს (წარმომადგენელს)

2014 წ. 22 თებერვლიდან 2 მარტამდე ბაკურიანში ჩატარდება მედიკოსთა ტრადიციული XXXV საიუბილეო საერთაშორისო სკოლა-კონფერენცია: „თანამედროვე კლინიკური მედიცინა – მიღწევები და უახლესი ტექნოლოგიები“ – „ბაკურიანი-2014“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოსა და საზღვარგარეთის სხვადასხვა დარგობრივი სამედიცინო ასოციაციები, უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლები, ორგანიზაციები და დაწესებულებები.

სკოლა-კონფერენციაში ფირმების, კომპანიების, დაწესებულება-ორგანიზაციების მონაწილეობისთვის საწევრო – სარეგისტრაციო თანხა შეადგენს:

1. სტენდის მონაცემი სკოლა-კონფერენციის მთელი პერიოდის განმავლობაში – \$ 200
2. სხდომაზე საინფორმაციო გამოსვლა-პრეზენტაცია (10 წუთი) – \$ 200
3. საკუთარი სემინარის ან სიმპოზიუმის ჩატარება (2 საათი) – \$ 200
4. სამივე ღონისძიების (მთლიანი პაკეტი) ერთად ჩატარება – \$ 500

აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში, გადარიცხვის დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსით.

დამატებით, საორგანიზაციო კომიტეტთან შეთანხმებით, შესაძლებელია მოეწყოს მრგვალი მაგიდა წამყვანი სპეციალისტების მონაწილეობით.

საწევრო-სარეგისტრაციო შესატანი არ ითვალისწინებს ინფორმაციის განთავსებას საორგანიზაციო კომიტეტის ბეჭდვით პროდუქციაზე (მოსაწვევი ბარათები, პროგრამა, პლაკატი, სამკერდე ნიშანი, თეზისები და სხვა).

ღონისძიების სპონსორობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შესაძლებელია სპონსორობის შემდეგი სახე:

1. “ოქროს” სპონსორი – \$ 5 000
2. გენერალური სპონსორი – \$ 2 000
3. ღონისძიების მთავარი სპონსორი – \$ 1 000
4. სკოლა-კონფერენციის სპონსორი – \$ 800

ყველა სპონსორი ისარგებლებს სპონსორობის სახის მიხედვით შესაბამისი მოცულობის პრივილეგიით (ბეჭდვით პროდუქციაზე ფირმის მითითება, სტენდის წარმოდგენა, ყველა სახის პრეზენტაცია სპონსორობის ფორმის მითითებით, საკუთარი სემინარის ან სიმპოზიუმის ჩატარება და ა.შ.).

“ოქროს” სპონსორისთვის პრივილეგიის ყველა აღნიშნული სახის გარდა, გათვალისწინებულია სკოლა-კონფერენციის ჩატარება მისი ეგიდით.

სკოლა-კონფერენციაში მონაწილეობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, წერილობით ან ფაქსით უნდა გვცნობოს 2014 წ. 10 თებერვლამდე

(ტელ/ფაქსი: 222 3669; მობ. 599 554 351, ელფოსტა: ampsmgpe@hotmail.com ; საიტი: www.medcongress.ge

საორგანიზაციო კომიტეტი